

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი კალანდაძე

ტექსტოლოგიური და საგამომცემლო კვლევები
გაბრიელ მცირის „გზრგზნის“ შესახებ

სპეციალობა:

ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა

ფილოლოგიის დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თელავი
2019 წელი

ნაშრომი შესრულებულია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ქეთევან გიგაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მაია ნინიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი

შემფასებლები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ლია კიკნაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ნანა ჩიკვატია

დაცვა შედგება 20____ წლის ”_____” _____, _____ საათზე სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე: კორპუსი _____ აუდიტორია _____

მისამართი: საქართველო, თელავი, 2200
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1
ტელ: +995 350 27 24 01

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ვებ-გვერდზე <http://tesau.edu.ge>

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი ნინო კოჭლოშვილი

სადისარტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ქართველ მოღვაწეთა მიერ ჩვენთან თუ სხვა ქვეყნების ეკლესია-მონასტრებში იქმნებოდა ორიგინალური სასულიერო ნაშრომები და ითარგმნებოდა ქრისტიანული ლიტერატურა. ამ მიმართულებით XVII-XVIII საუკუნეებში გარეჯის მრავალმთის მონასტრებში მყოფ პირთა მოღვაწეობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

გარეჯის მონასტერთა წიაღში შეიქმნა: ქართველ წმიდანთა ცხოვრების ამსახველი ნაშრომები, კრებულები დოგმატური საკითხების ირგვლივ, ლიტურგიკული მწერლობის ნიმუშები, ორიგინალური თხზულებები და პატერიკული კრებულები, რომლებიც ქართული სასულიერო მწერლობის საგანძურს წარმოადგენს.

XVIII საუკუნის ბოლოს გარეჯის კომპლექსში, კერძოდ იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში, მოღვაწეობდა გაბრიელ მცირე, რომელიც ამ დროის გარეჯის ლიტერატურული სკოლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი შემოქმედების შესახებ თუმცა აქა-იქ იყო მეტ-ნაკლებად ფასოვანი ცნობები, მაგრამ ამ მეტად მნიშვნელოვანი მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევა დღემდე არ არსებობდა.

ჩვენ შესაძლებლობის ფარგლებში მოვიძიეთ გაბრიელ მცირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ირგვლივ არსებული მასალა, მისი ანალიზის საფუძველზე ჩამოვაცალიბეთ ჩვენეული ხედვა და მივიღეთ შესაბამისი დასკვნები. ძირითად საკვლევ საგნად ავირჩიეთ ტექსტოლოგიური და საგამომცემლო კვლევები გაბრიელ მცირის „გვრგვნის“ შესახებ.

გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- *წმიდა გაბრიელ მცირის ცხოვრება და მოღვაწეობა;*
- *„გვრგვნის“ არსებული ხელნაწერები, მისი შემდგენლის ვინაობის დაზუსტება და კრებულის სტრუქტურა;*
- *„გვრგვნის“ ავტოგრაფული და არაავტოგრაფული ტექსტების ტენდენციები;*
- *ავტოგრაფების შედარებითი კვლევა და ძირითადი წყაროს არჩევა;*
- *„გვრგვნისში“ შემავალ თხრობათა წარმომავლობა.*

საკვლევი თემის აქტუალობა და ძირითადი მიზანი:

ჩვენი კვლევის უმთავრეს საგანს წარმოადგენს წმიდა გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი კრებული „გვრგვნი“, რომელიც 100 სწავლას შეიცავს. ამ ლიტერატურული ძეგლის მრავალმხრივმა და დეტალურმა შესწავლამ ობიექტური, მეცნიერული წარმოდგენა მოგვცა საკვლევ საკითხთა ირგვლივ.

შევისწავლეთ წმიდა გაბრიელის მიერ 1780-იანი წლებიდან 1802 წლამდე გაწეული ლიტერატურული მოღვაწეობა, რის საფუძველზეც დავადგინეთ მისი შემდგენლობით-რედაქტორული თავისებურებები, წიგნის სათაურთა და მასში შემავალი თხრობების რაოდენობათა სიმბოლური გააზრება.

მოვიძიეთ და გამოვიკვლიეთ გაბრიელ მცირის ცხოვრების დღემდე შეუსწავლელი ზოგიერთი დეტალი, რომელიც ამდიდრებს წარმოდგენას მისი სასულიერო ცხოვრებისა და ამდენად - მისი სასულიერო-ლიტერატურული მოღვაწეობის მოტივაციის შესახებ.

კვლევის ფარგლებში შევადგინეთ გაბრიელ მცირის ლიტერატურული დანატოვარის სრული ბიბლიოგრაფია, რაც დღემდე არ არსებობდა. შევისწავლეთ არსებული ხელნაწერები და განვსაზღვრეთ, რომელი მათგანია ავტორიზირებული და რომელი - არა.

სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი ნაწილი დათმობილი აქვს კრებულ „გზრგზნის“ ავტოგრაფული და არაავტოგრაფული ტექსტების კვლევას და მათ შედარებით ანალიზს; მისი მეცნიერული ტექსტის დადგენას; კრებულში შემავალ თხრობათა წარმომავლობის შესწავლას; გაბრიელ მცირის ახლებლურ მიდგომებს შემდგენლობითი და რედაქტორული თვალსაზრისით; ამ ახლებური მიდგომების ეფექტურობას: თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს იგი მკითხველზე, მსმენელზე. შევადგინეთ „გზრგზნის“ ნუსხების სრული ჩამონათვალი და თითოეულ მათგანს დავურთეთ აღწერილობა.

შევისწავლეთ წმიდა გაბრიელის ლიტერატურული დანატოვარი, დღეისთვის ხელმისაწვდომი ყველა ნაშრომი, დავასაბუთეთ მათი ავტორობა, კრებულთა შედგენილობასთან დაკავშირებული საკითხები, ნაშრომებში შემავალ თხრობათა წარმომავლობა და სხვა.

დასახული მიზნები, მათი კვლევა და წამოჭრილი საკითხების შესახებ დასკვნები განსაზღვრავს წინამდებარე სადისერტაციო თემის აქტუალობას. ნაშრომი ნათელს ჰფენს რამდენიმე უცნობ თუ ნაკლებად შესწავლილ საკითხს, რაც ქართველ ლიტერატურათმცოდნეებს ხელს შეუწყობს XVII-XVIII საუკუნეების სასულიერო მწელობის შემდგომ კვლევაში.

ნაშრომის კვლევის ობიექტი და მეთოდები:

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ სიმკვლევით-საცავებში დაცული ხელნაწერები, ასევე: სტატიები, მონოგრაფიული ნაშრომები, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა კვლევები და ინტერნეტკვებები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო ჩვენი მეცნიერული შრომისათვის საჭირო მრავალმხრივი მასალა.

ტექსტში ზოგიერთი სიტყვის ამოკითხვისთვის გამოვიყენეთ გამორიცხვის მეთოდი; ზოგადი ტექსტური თავისებურებების შე-

სასწავლად შევქმენით გაბრიელ მცირის ნაშრომების ელექტრონული ბაზა და გამოვიყენეთ კვლევის კორპუსული მეთოდი; შრომების ავტორობის დასადგენად გამოვიყენეთ კომპლექსური ატრიბუციული მეთოდი; ზოგიერთი ბიოგრაფიული მოვლენის თარიღის დასადგენად გამოვიყენეთ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლეები:

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს გაბრიელ მცირის კრებულის „გზრგზნის“ კომპლექსური მეცნიერული შესწავლა, ტექსტის დადგენა და მისი ორიგინალური, დიდაქტიკურ შედეგზე ორიენტირებული საშემდგენლო სიახლეების წარმოჩენა. სადისერტაციო შრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოვკვეთეთ შემდეგი სიახლეები:

- *გაბრიელ მცირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი დეტალები;*
- *ქართული და საზღვარგარეთული წყაროების საფუძველზე შევადგინეთ გაბრიელ მცირის ლიტერატურული მემკვიდრეობის ბიბლიოგრაფია;*
- *მოვამზადეთ კრებულ „გზრგზნის“ ხელნაწერთა ჩამონათვალი და მათი აღწერილობა;*
- *რვა ხელნაწერისა და ერთი ბეჭდური წყაროს შედარების საფუძველზე დავადგინეთ კრებულ „გზრგზნის“ კრიტიკული ტექსტი და მას დავურთეთ მეცნიერული აპარატი;*
- *ავტოგრაფული და არავტორიზებული ტექსტების შედარების საფუძველზე წამოვაჩინეთ მათი ურთერთდამოკიდებულება და თავისებურებები;*
- *დავადგინეთ „გზრგზნში“ შემავალ თხრობათა უმეტესი ნაწილის წარმომავლობა.*

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება:

ნაშრომი ნათელს ჰფენს გაბრიელ მცირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უცნობ და შეუსწავლელ საკითხებს. მასში მეცნიერულადაა შესწავლილი კრებულ „გზრგზნის“ ტაქსტი, მისი წამომავლობისა და ავტორობის საკითხი.

„გზრგზნის“ მეცნიერულად შესწავლილი ტექსტი და ვარიანტული სხვაობანი ხელს შეუწყობს ქართული ენის მკვლევარებს XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ძირითადი შემდგენლობით-რედაქტორული ტენდენციების, აგრეთვე სასულიერო ჟანრის ძირითადი თავისებურებებისა და ქართული ენობრივი ქსოვილის შესწავლის საქმეში, განსაზღვრავს გაბრიელ მცირის როლს ქართული სასულიერო მწერლობის განვითარებაში. კვლევის

შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლეს სასწავლებლებში ჰუმანიტარული მიმართულების სპეციალობებზე ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ტექსტოლოგიის სალექციო კურსების სწავლებისას.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:

სადისერტაციო ნაშრომი შედგება კომპიუტერულად ნაბეჭდი 171 გვერდისაგან, შეიცავს შესავალს, 5 თავს, ქვეთავებს და დასკვნებს. სადისერტაციო ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. ცალკე დანართად წარმოდგენილია გაბრიელ მცირის „გზრგზნის“ ტექსტოლოგიურად შესწავლილი და გამოსაცემად მომზადებული ტექსტი მეცნიერული აპარატითურთ.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი:

შესავალში წარმოჩენილია საკვალიფიკაციო ნაშრომის ძირითადი მიზანი, კვლევის აქტუალობა და გააზრებულია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ხოლო თვით ნაშრომში დეტალურად არის განხილული შესავალში დასახული მიზნები და მოცემულია დასკვნები ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

თავი I

წმიდა გაბრიელ მცირის ცხოვრება და მოღვაწეობა მასალაზე ბიოგრაფიისათვის

გაბრიელ მცირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ირგვლივ ისტორიულ საბუთებში მწირი ცნობები მოიპოვება. დღემდე მისი ვრცელი და ზუსტი ბიოგრაფია არ არსებობს. ამიტომ მოგვიხდა ზოგიერთი თარიღის დადგენა, ან ვარაუდის გამოთქმა. ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დადგინდა გაბრიელ მცირის ბიოგრაფიის ზოგიერთი ახალი დეტალი.

ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკაში არსებული „ჯუარშემოსილის“ ხელნაწერის ტექსტის კვლევამ ცხადყო გაბრიელ მცირის მონასტერში მისვლის თარიღი. ამ ცნობის მიხედვით, წმიდა გაბრიელი მონასტერში დიდსქემოსანი სერაფიონის გარდაცვალების შემდგომ მისულა. მამა სერაფიონი 1773 წელს გარდაიცვალა. ამ ცნობიდან ცხადი ხედება, რომ გაბრიელ მცირე მონასტერში 1773 წლის ახლო ხანებშია მისული. ცხადია, ამ თარიღამდე წმიდა გაბრიელი ბერად ჯერ არ იქნებოდა აღკვეცილი. ბერობამდე კი იგი თბილისის მკვიდრი, ხელობით მკერავი ყოფილა, ჰყოლია დედა და ძმები.

ივანე ლოლაშვილის აზრით, როდესაც წმიდა გაბრიელი მონას-

ტერში მივიდა, იგი 20-25 წლის იყო. ამ აზრის დამადასტურებელი დოკუმენტური წყარო ამ დროისათვის სიძველეთსაცავებში არ ჩანს. ამისდა მიუხედავად, თუ მის აზრს გავითვალისწინებთ (იქნებ იგი ფლობდა ამის შესახებ დოკუმენტურ ცნობებს), შესაძლო გახდებოდა გვევარაუდა წმიდა გაბრიელ მცირის დაბადების თარიღი. კერძოდ: 1773 წელს გამოკლებული 20-25 წელი, ანუ 1748 წლიდან 1753 წლამდე.

ფაქტების შეჯერების საფუძველზე გამოიკვეთა დროის მონაკვეთი, როდესაც წმიდა გაბრიელი მღვდლად აკურთხეს: 1. „ჯუარშემოსილში“ წმიდა გაბრიელს მოთხრობილი აქვს შემთხვევა, როდესაც იგი სალოცავად ასულა 6000 მოწამის სამკვალეზე. ამ დროს, 1786 წლის 25 იანვარს, დიდი ბრძოლა გამართულა დავით მეორესა და თურქ-ლექთა ჯარს შორის. წმიდა გაბრიელი ხსენებული შემთხვევის დროს თავს იეროდიაკონად იხსენიებს. 2. გაბრიელ მცირის თხზულების ერთ-ერთ მინაწერზე, რომელიც 1892 წლის 10 ივლისითაა დათარიღებული, იგი თავს იერომონაზად იხსენიებს. ამდენად გაბრიელ მცირის მღვდლად კურთხევა 1786 წლის 25 იანვრიდან 1892 წლის 10 ივლისამდე დროის მონაკვეთში უნდა მომხდარიყო.

სხვადასხვა ისტორიული ფაქტებით დასტურდება წმიდა გაბრიელის ურთიერთობა სამეფო კართან. ამ მიმართულებით მეტად საინტერესოა თხრობა „ჯუარშემოსილიდან“, საიდანაც ჩანს, რომ გაბრიელ მცირე გიორგი მეფეს თან ახლდა იოანე მანგლელის სამცხალის გახსნის დროს. წმიდა გაბრიელის ცნობით, ეს საიდუმლოდ ხდებოდა.

წმიდა გაბრიელ მცირის გარდაცვალების თარიღისა და გარემოების შესახებ ერთმანეთს ორი სხვადასხვა ხელნაწერის ცნობები ავსებს. ესენია: 1. „გვრგვინის“ ნუსხა, გადაწერილი ბატონიშვილ ბაგრატიის მიერ და 2. „ჯუარშემოსილი“. ორივე წყარო გვაცნობს, რომ გაბრიელ მცირე ლეკებს მოუკლავთ მონასტრისკენ მიმავალ გზაზე.

ამ ორ წყაროში განსხვავებულია მონათხრობი მონასტრიდან გაბრიელ მცირის წასვლის მიზეზის შესახებ. პირველი წყაროს მიხედვით, წმიდა გაბრიელი თან წაჰყოლია მთავარდიაკონ იოანე ჩუბინიძეს თბილისში მისი თხოვნით, ოჯახის მონახულების მიზეზით. მეორე წყაროს მიხედვით კი, მონასტრიდან გასვლის მიზეზად გაბრიელ მცირის ავადმყოფობაა დასახელებული.

ჩვენი აზრით, შესაძლოა მამა გაბრიელი ავადაც ყოფილიყო და, ამასთანავე, იოანე ჩუბინიძეს (მის სულიერ ძმას) თან გაჰყოლოდა, მისი მარტო გაშვება მიზანშეწონილად არ ჩაეთვალა. აქვე აღვნიშნავთ, რომ „გვირგვინის“ მინაწერში მხოლოდ გაბრიელ მცირის აღსრულების წელია მითითებული (1802 წ.), ხოლო „ჯუარშემოსილის“ ხელნაწერში - დღე, რიცხვი და თვე (სამშაბათი, 11 მარტი).

გადავამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ 1802 წლის 11 მარტი მართლაც სამშაბათი დღეა. სწორედ ეს არის გაბრიელ მცირის მოწამეობრივად აღსრულების თარიღი. წმიდა გაბრიელი დაკრძალულია იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში.

მართალია, გაბრიელ მცირის წმიდანად შერაცხვის ზუსტი თარიღი არსად გვხვდება, მაგრამ კვლევის საფუძველზე განვსაზღვრეთ ხსენებული ფაქტის დროის მონაკვეთი. მეფე გიორგის ძის, ბაგრატ ბატონიშვილის ცნობაში, რომელიც 1815 წლის 3 აპრილით თარიღდება, გაბრიელ მცირე წმიდანადაა მოხსენიებული. როგორც ვიცით, გაბრიელ მცირე 1802 წლის 11 მარტს მოკლეს ლეკებმა. აქედან გამომდინარე დგინდება გაბრიელ მცირის წმიდანად შერაცხვის დროის მონაკვეთი: არაუადრეს 1802 წლის 11 მარტისა და არაუგვიანეს 1815 წლის 3 აპრილისა.

ამ დროს საქართველოში კანონიზაცია, ანუ წმიდანად შერაცხვა სასულიერო და საერო პირთა ერთესულოვანი გადაწყვეტილებით ხდებოდა და არა სინოდის დადგენილებით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაბრიელ მცირის კანონიზირებაც ერთესულოვანი გადაწყვეტილებით მოხდებოდა, როგორც ღვაწლით გამორჩეული, წამებული ბერისა. სავარაუდოდ, წმიდა გაბრიელის კანონიზირება მისი დაკრძალვის დროს, ან ამ დროის ახლო ხანში უნდა მომხდარიყო. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ასევე წმიდა შუშანიკის, წმიდა გიორგი მთაწმინდელისა და სხვა მრავალი წმიდანის კანონიზაციის დრო.

წერილობითი მემკვიდრეობა (ორიგინალური შრომები, შედგენილი კრებულები და მათი გამოცემები)

გაბრიელ მცირემ ლიტერატურული საქმიანობა XVIII საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. იგი თავდაპირველად უკვე არსებული ხელნაწერების გადაწერას აწარმოებდა, მაგრამ არა როგორც უბრალო გადამწერი. მას წესრიგში მოჰყავდა ხელნაწერები სტრუქტურული და ენობრივი თვალსაზრისით.

წმიდა გაბრიელმა, როგორც რედაქტორ-შემდგენელმა, საეკლესიო მამათა ნაფიქრ-ნააზრევის საფუძველზე შექმნა იმ დროისთვის კარგად ცნობილი წიგნები: „გზრგზნი“, „სამოთხის ყუავილი“, „ოქროს წყარო“, „კლიტე“, „სუფევა“, „მანანა“ და „სამასეული“. ამ კრებულების შედარებითი ანალიზითა და სხვადასხვა წყაროში მითითებული ცნობებით მტკიცდება, რომ ყველა მათგანი გაბრიელ მცირის მიერაა შედგენილი. თითოეულ წიგნში სიმბოლურადაა გააზრებული თხრობათა და თავთა რაოდენობა, ხოლო თხრობები გადამუშავებული სახითაა წიგნში შეტანილი. ამ კრებულთა იდენტური

რედაქტორულ-შემდგენლობითი მიდგომა და ტექსტის თავისუფალი გადამუშავება ცხადყოფს ამ კრებულთა შემდგენლის მიერ დამკვიდრებულ სალიტერატურო პრინციპებს, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული სასულიერო მწერლობის განახლება-განვითარების საქმეში.

გარდა იმისა, რომ ყველა ზემოხსენებული წიგნი ერთი სტილით, ერთი და იმავე კომპოზიციური მიდგომითაა შედგენილი, ერთი გამონაკლისის გარდა („სამასეული“), ყველა მათგანს ერთვის „ბეჭედი“, რომელშიც წმიდა გაბრიელს განმარტებული აქვს კრებულთა შემდგენლობითი სიმბოლიკა. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნთა ავტორაფების უმეტეს ნაწილს ერთვის ავტორის ისეთივე ხელრთვა, როგორც მის ორიგინალურ ტექსტებს.

სარედაქციო-შემდგენლობით საქმიანობასთან ერთად, გაბრიელ მცირე ორიგინალურ თხზულებებსაც ქმნიდა. ესენია: „მღუდელმთავრისა ლიტურდიისა განმარტებაჲ სახისმეტყველებითი“, „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ცქემოსან ონისიფორესი“, „სულიერნი თხრობანი სულთა ღმრთისმოყვარეთანი“, „განმარტება მამაო ჩვენოსი“, „განმარტება მაზარისა“, „მოთხრობა პორფირისათვის“ და „ეპიტაფია სტავროფორესი საფლავსა ზედა პორფირისა“.

მათგან მხოლოდ პირველი ორია გადაწერილი ცალკეულ ნუსხეზად. 1801-1802 წლებში კი წმიდა გაბრიელმა ყველა ეს ნაშრომი გააერთიანა კრებულში, რომელსაც „ჯუარშემოსილი“ უწოდა.

თუმცა „ჯუარშემოსილს“ არ ახლავს ანდერძი, საიდანაც წარმოჩნდებოდა წმიდა გაბრიელის ავტორობა, ასევე თხზულების დაწერის თარიღი, ამ მიმართულებით წარმოებული კვლევა ადასტურებს მის ავტორობასა და დაწერის სავარაუდო თარიღს. „ჯუარშემოსილში“ შემავალ ორ თხზულებას, რომელიც ცალკე ნუსხეზად არის გადაწერილი, ახლავს მინაწერები, საიდანაც დგინდება, რომ მათი ავტორი წმიდა გაბრიელია. „ჯუარშემოსილი“ ვერ შეიქმნებოდა 1802 წლის 11 მარტის შემდგომ, რადგან ამ დროს წმიდა გაბრიელი მოწამეობრივად აღესრულა. ასევე ვერ დაიწერებოდა 1801 წელზე ადრე, რადგან ბერი პორფირი ცოცხალი იყო, წიგნში კი იგი უკვე გარდაცვლილად არის მოხსენიებული და მისადმი გაბრიელ მცირეს მოთხრობა და ეპიტაფია აქვს მიძღვნილი. აქედან გამომდინარე დგინდება, რომ „ჯუარშემოსილის“ შედგენა დასრულებულა 1801, ან 1802 წელს.

გაბრიელ მცირის ბოლო ნაშრომად ჩანს „ქებითი სიტყვა“. ეს ტექსტი მას ბერ იოანიკეს დაკრძავლის დროს წარმოუთქვამს, რომელიც 1802 წელს გარდაიცვალა. ხოლო გაბრიელ მცირე, როგორც აღვნიშნეთ, 1802 წლის 11 მარტს აღესრულა. აქედან გამომდინარე „ქებითი სიტყვა“ 1802 წლის დასაწყისიდან 1802 წლის 11 მარტამდეა დაწერილი.

რაც შეეხება გაბრიელ მცირის ლიტერატურული მემკვიდრეობის ბეჭდურ გამოცემებს, დროის მიხედვით ისინი შეიძლება პირობითად ორ ფაზად წარმოვადგინოთ: 1) 1892-1905 წლებში წმიდა სტეფანე კარბელაშვილის მიერ გამოცემული რამდენიმე კრებული, რომელთა დასტამბვის შემდეგ ამ მიმართულებით დიდხანს აღარაფერი გაკეთებულა და 2) 1934, 1965, 1990, 1992, 1996, 1999, 2002, 2011, 2012, 2013, 2014, 2017, 2018 და 2019 წლებში გრიგოლ ფერაძის, ივანე ლოლაშვილის, ზაზა სხირტლადის, კახაბერ კენკიშვილის, ექვთიმე კოჭლამაზაშვილის, ენრიკო გაბიძაშვილის, მიხეილ ქავთარიას, ვალერი სილოგავას, პავლე წიკლაურის, დავით ჩანანდრისა და გიორგი კალანდაძის მიერ მომზადებული წმიდა გაბრიელ მცირის სრული და ფრაგმენტული ტექსტების გამოცემები.

საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული წიგნთსაცავების, აგრეთვე ბეჭდური წყაროების შესწავლის საფუძველზე შევადგინეთ გაბრიელ მცირის ავტოგრაფებისა და მათი ასლების, ასევე პუბლიკაციების ბიბლიოგრაფია, რაც დღემდე არ არსებობდა.

თავი II

„გვრგვნის“ შემდგენლის ვინაობა, კრებულის სტრუქტურა, ნუსხების ჩამონათვალი და მათი აღწერილობა

„გვრგვნის“ პირველი გამომცემელი სტეფანე კარბელაშვილი ამ წიგნის შემდგენლად არსად იხსენიებს წმიდა გაბრიელს, ხოლო კორნელი კეკელიძე თვლის, რომ მისი შემდგენელი ნამდვილად გაბრიელ მცირეა. ამ მხრივ დამატებითი კვლევა ცხადყოფს, რომ კრებული „გვრგვნი“ ნამდვილად გაბრიელ მცირის მიერაა შედგენილი.

კვლევის შედეგად მიღებული დამატებითი არგუმენტები: 1. „გვრგვნის“ ანდერძში ნახსენებია ადგილი, თარიღი და ასევე სახელი ამ კრებულის შემქმნელისა: ხუცეს-მონაზონი გაბრიელი. 2. „გვრგვნის“ შემქმნელის სახელი ასევე გიორგი მეფის ძეს, ბატონიშვილ ბაგრატს აქვს მოხსენიებული: მღვდელ-მონაზონი გაბრიელი. 3. ადრეული ნუსხები „გვრგვნის“ ხელნაწერისა გაბრიელ მცირის ხელითაა დაწერილი და მათ წმიდა გაბრიელის ხელთრთვა აქვთ დართული. 4. „გვრგვნისა“ და გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი სხვა კრებულების შედარებითი ანალიზით საბოლოოდ დგინდება, რომ იგი ნამდვილად გაბრიელ მცირის მიერ არის შედგენილი. „გვრგვნი“ იკვეთება ზუსტად ისეთივე, იდენტური შემდგენლობითი სტილი, როგორცაა მის მიერ შედგენილ სხვა კრებულებში: კერძოდ, თავებისა და თხრობების რაოდენობას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს მიცემული.

კრებულ „გვრგვნის“ სტრუქტურა წინასწარაა გააზრებული. რო-

გორც აღვნიშნეთ, თავებისა და თხრობების რაოდენობას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. კერძოდ: კრებულის ხუთი თავი გააზრებულია, როგორც ხუთი საგრძნობელი, კრებულში შემავალი ასი თხრობა კი - „მეზრ იგავისა რომელსა ედგა ასი ცხოვარი და მოსურნეთა ნაყოფიერ ყოფს, ოცდაათეულად, სამოცეულად და ასეულად“.

„გზრგზნის“ ნუსხათა ყველაზე დიდი რაოდენობა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. ასევე: საქართველოს ეროვნულ არქივში; დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში (ზუგდიდი); სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ მუზეუმში (გორი); ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოლდეს სახელობის ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში.

თავი III

„გზრგზნის“ წყაროთა ტენდენციები

(ავტოგრაფების ზოგადი დანასიათება, გაბრიელ მცირის კალიგრაფია, ორთოგრაფია, ძველი ქართული გრაფემების სმარება და პუნქტუაცია)

მეცნიერულად დავადგინეთ გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი კრებულის „გზრგზნის“ ტექსტი (კაბადონის 235 გვ.) და დავურთეთ მეცნიერული აპარატი. ტექსტის საფუძვლიანად შესწავლისათვის სიძველეთსაცავებში დაცული ნუსხებიდან (44 ნუსხა) გამოვიყენეთ რვა უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი, რომლებიც გამოვარჩიეთ მათი სიძველის, ავთენტურობისა და სისრულის საფუძველზე (ზსიემ 23374/ხწ 16; A 228; A 723, A 427; S 2331; S 1389; A 341; A 537). ამასთანავე, გამოვიყენეთ სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილის მიერ 1892 წელს წიგნად გამოცემული „გზრგზნი“. ამ გამოცემას მნიშვნელობა მივანიჭეთ, რადგან მისი მომზადებისას წმიდა სტეფანეს შესამლოა ხელთ ჰქონოდა ისეთი წყაროები, რომელთაც დღეს ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

გამოყენებული წყაროები სქოლიოებში ქრონოლოგიური პრინციპით დავალაგეთ და ნუსხებს შორის გამოვლენილი ცვლილებები სქოლიოებში მივუთითეთ.

„გზრგზნის“ ნუსხათაგან მხოლოდ ორია ავტოგრაფი, დათარიღებული 1794 წლის 29 ივლისით და 1795 წლის 26 აპრილით. კრიტიკული ტექსტის დადგენას საფუძვლად დაედო უადრესი, 1794 წლის ავტოგრაფი. ხელნაწერ კრებულ „გზრგზნის“ დასრულების სავარაუდოდ თარიღად მისი ადრეული ავტოგრაფის დასრულების თარიღი მივიჩნიეთ.

სიძველეთსაცავებში „გზრგზნის“ ორმოცდაოთხი ნუსხა ინახება. აქედან ორი გაბრიელ მცირის ხელნაწერია. ნუსხათა სრული სურათის შექმნისათვის საჭიროდ ჩავთვალეთ შეგვექმნა „გზრგზნის“ ნუსხათა შეძლებისდაგვარად სრულყოფილი ჩამონათვალი და აღწერილობა, რაც დღემდე არ იყო გაკეთებული.

„გზრგზნის“ ავტოგრაფთა შედარების საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები: ავტოგრაფულ ტექსტებში ორთოგრაფია არ არის მტკიცედ დაცული. მართლწერაში წარმოდგენილ სხვაობათა დაჯგუფებითა და ანალიზით იკვეთება, რომ გაბრიელ მცირე: ერთნაირად იყენებს ხმოვან „უ“-სა და თანხმოვან „ვ“-ს, ცალკეული სიტყვების ახალ თუ არქაულ მართლწერას, როგორც სიტყვების, ისე გრამატიკულ ფორმათა სხვადასხვა დაწერილობებს. ვფიქრობთ, ამ მხრივ ჩატარებული სამუშაო არა მარტო გაბრიელ მცირის ენასა და სტილზე ქმნის წარმოდგენას, არამედ მის ეპოქაზეც და ამდენად კარგი მასალაა ენის ისტორიის შესასწავლად.

წმიდა გაბრიელი მის მიერ შექმნილი წიგნების სათაურებს ასომთავრულით წერს, სადაც იყენებს ძველი ქართულის ორთოგრაფიულ ნორმებს. მაგალითად: ტექსტში ასო „ჟ“ საერთოდ არ არის გამოყენებული, ხოლო ასომთავრულად დაწერილ სათაურებში გამოყენებულია.

თუ ტექსტში შეცდომით ერთი და იგივე სიტყვა ორჯერ წერია, ის წერტილებითაა შემოფარგლული, რაც მის ზედმეტობაზე მიანიშნებს.

წმიდა გაბრიელ მცირეს უფლის სახელი ორგვარად აქვს ტექსტში წარმოდგენილი: ქარაგმით, ხუცურად და ქარაგმის გარეშე, მხედრულად. განსაკუთრებული მოწიწების აღსანიშნად ტექსტში ნებისმიერი სიტყვა, რომელიც ღმერთს აღნიშნავს, მთავრულით იწყება.

წმიდა გაბრიელის ხელწერა, ზოგადად, და, მათ შორის, „გზრგზნისა“, დახვეწილია და მკაფიო. ამ მხრივ სრული სურათის წარმოსადგენად მისი ავტოგრაფების საფუძველზე შევადგინეთ გრაფემების ტიპურ მოხაზულობათა ცხრილი, რომელიც ასოთა ანბანური რიგის მიხედვითაა დალაგებული. ასევე ცხრილის სახით წარმოვადგინეთ ქარაგმები. კვლევამ ცხადყო, რომ გაბრიელ მცირის კალიგრაფია წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად არ არის შეცვლილი.

„გზრგზნის“ ავტოგრაფისა და ხელნაწერთა საცავებში გაბრიელ მცირის სახელით (მის მიერ შესრულებულად) დაცული ხელნაწერების გრაფოლოგიური ანალიზით დადგინდა, რომ ყველა ხელნაწერი, რომელიც წმიდა გაბრიელის ავტოგრაფის სახითაა დაცული, ნამდვილად მისი ხელითაა შესრულებული, ანუ, ნამდვილად მას ეკუთვნის.

ჰ, ზ, ჭ, შ, ჯ, ე გრაფემებით გამოხატულ ბგერებს XVIII საუკუნის მიწურულს სამეტყველო ენაში აღარ ხმარობდნენ, წერის დროს კი იყენებდნენ. გაბრიელ მცირის ავტოგრაფებში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ეს გრაფემები პირველ ავტოგრაფში ჩანს, გვიანდელში კი ამოღებულია. ზოგჯერ კი პირიქითაა: თავდაპირველ ავტოგრაფში გრაფემა არ ყოფილა და გვიანდელში მოხდა მისი ჩამატება.

გაბრიელ მცირის ხელნაწერ ტექსტებში სასვენი ნიშნები მოწესრიგებულია და სისტემატიზირებული. მათ შორის: წერტილი გამოყენებულია მძიმის ფუნქციით, ხოლო ორი წერტილი - წერტილის მნიშვნელობით. აზნაცის აღსანიშნავად სიტყვის პირველი ასო მთავრულით და ასომთავრულადაა, ზოგჯერ - სინგურით.

ზედმიწვევითაა გააზრებული ტექსტში ბრჭყალების გამოყენების წესი: წმიდა წერილიდან მოყვანილი ციტატები გაბრიელ მცირეს არა აქვს ბრჭყალებში მოქცეული, არამედ ბრჭყალები ციტატის გასწვრივ, არშიაზე აქვს გატანილი. ჩვენი ვარაუდით, წმიდა გაბრიელ მცირის მიერ ბრჭყალების ასეთი გამოყენება გამიზნული გამოსავალი იყო იმ უხერხულობიდან, რასაც მასში წმიდა წერილის ადგილის ბრჭყალებში მოქცევა იწვევდა.

თავი IV

ავტოგრაფების შედარებითი კვლევა და

ძირითადი წყაროს არჩევა

(ავტოგრაფთა შედარებითი ანალიზი, გვიანდელი ავტოგრაფის ხარვეზები, გვიანდელ ავტოგრაფში შეტანილი მართებული სწორებები, კონცეპტუალური ცვლილებები, ძირითადი წყაროს არჩევა)

წმიდა გაბრიელ მცირის ავტოგრაფთა შედარებითი კვლევის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, რომლებშიც უადრესი ავტოგრაფისთვის დამახასიათებელი ძველი ენობრივი ფორმები ახლითაა შეცვლილი. ზოგჯერ სიტყვა ჩანაცვლებულია სინონიმით. ზოგიერთი სიტყვა ამოღებულია, ან დამატებულია. არის შემთხვევები, როდესაც შეცვლილია კონსტრუქციები და სიტყვათა ფორმები, მაგრამ აზრი არ იცვლება. გვხვდება შემთხვევები, რომლებშიც არსებულ სიტყვათა სწორი მართლწერა გვიანდელში არასწორი ფორმითაა, ან სწორი გარმატიკული ფორმა შეცვლილი. არის მაგალითები, სადაც ადრეული ვარიანტული წაკითხვა გვიანდელში დაზუსტებულია და გასწორებული. ასეთი შემთხვევები საპირისპიროსთან შედარებით გაცილებით მეტია.

ავტოგრაფებს შორის არსებული სხვაობა განეკუთნება ვარიანტების იმ ჯგუფს, რომლებიც არ იწვევს შინაარსის ცვლილებას, ანუ ავტოგრაფებს შორის კონცეპტუალური სხვაობა არ არის. გვხვდება

ერთადერთი გამონაკლისი, სადაც გვიანდელ ავტოგრაფში წინადადებას სამი სიტყვა აკლია ადრეულ ავტოგრაფთან შედარებით და ეს აზრის ცვლილებას იწვევს. სამი სიტყვა ამ ერთეულ შემთხვევაშიც მექანიკურადაა გამორჩენილი გადაწერის პროცესში.

ვარიანტული ცვლილებები ცხადყოფს, რომ ტექსტის ხელახლა გადაწერისას გაბრიელ მცირეს, როგორც ავტორ-შემდგენელს და არა როგორც რიგით გადაწერს, ტექსტში თავისუფლად შეაქვს ენობრივი და სტილური ცვლილებები.

„გზრგზნის“ ტექსტის შედარებამ არაავტორიზირებულ ნუსხებთან ცხადყო: არცერთი არაავტორიზირებული ნუსხა ზედმიწევნით არ მისდევს „გზრგზნის“ არსებულ ორ ავტოგრაფულ წყაროს, არის გადახვევებიც და აღრევებიც.

კვლევამ ნათელყო რომ „გზრგზნის“ ჩვენ მიერ შესწავლილი და ვარიანტებში წარმოდგენილი ასლები, ძირითადად, ავტოგრაფებიდან არის გამრავლებული. A 723, A 427, S 2331, S 1380 ნომრებით დაცული ხელნაწერები უმეტესწილად მისდევს A 228 ნომრით დაცულ ავტოგრაფს, ხოლო A 341, A 537 ნომრებით დაცული ხელნაწერები ძირითადად მიჰყვება N 16 ნომრით დაცულ ავტოგრაფს.

ორი ავტოგრაფისა და ექვსი ხელნაწერი ასლის საფუძველზე ჩავატარეთ სტატისტიკური კვლევა, რომლის მიხედვითაც ავტოგრაფებთან ყველაზე დიდი სიახლოვე S 2331 ხელნაწერმა გამოამჟღავნა. შესწავლილი ექვსი ასლიდან ავტოგრაფებისგან ყველაზე მეტ სხვაობას A 537 ხელნაწერი ამჟღავნებს. ავტოგრაფებთან მიმართებაში არაავტოგრაფული ტექსტების ვარიანტულ სხვაობათა რიცხვი საკმაოდ დიდია. ამისდა მიუხედავად, მკაფიოდ იკვეთება ავტოგრაფებთან ხელნაწერი ასლების მეტ-ნაკლები მსგავსება. მიუხედავად ამისა, კონცეპტუალური სხვაობა წყაროებს შორის არ შეინიშნება.

ტექსტოლოგიური პრინციპების მიხედვით, ძირითადი ტექსტის არჩევისას ავტოგრაფს ცალსახა უპირატესობა აქვს არაავტორიზებულ ასლთან მიმართებით, ანუ იმ შემთხვევაში, თუ ასლს არ ეტყობა რაიმე ნიშანი იმისა, რომ იგი ავტორმა წაიკითხა და ჩასაწორა. რამდენადაც გაბრიელ მცირის „გზრგზნის“ 42 ასლიდან არც ერთი არ არის ავტორიზებული, ძირითადი ტექსტი უნდა აგვერჩია ჩვენ ხელთ არსებული ორი ავტოგრაფიდან.

ჩვეულებრივ ვითარებაში, XIX-XX საუკუნეების ხელნაწერ ტექსტებთან მიმართებით, ძირითად ტექსტად ვირჩევთ ხოლმე გვიანდელ ავტოგრაფს, იმ შემთხვევაში, თუ იგი უკეთ გამოხატავს ავტორის ბოლო ნებას. ამ შემთხვევაში გაბრიელ მცირის „გზრგზნის“ ავტოგრაფთა შედარებითმა კვლევამ დაგვარწმუნა, რომ გვიანდელ ავტოგრაფში (A 228) ავტორს კონცეპტუალური ცვლილებები არ შე-

უტანია, მექანიკური შეცდომები და ლაფსუსები კი თითქმის სამჯერ მეტია, ვიდრე ადრეულში.

ამ ვითარების გათვალისწინებით, ძირითად ტექსტად ავირჩიეთ ჩვენ ხელთ არსებული ადრეული (N 16) და არა გვიანდელი (A 228) ავტოგრაფი. ვარიანტულ სხვაობათა წარმოსაჩენად სწორედ მას შევადარეთ ყველა დანარჩენი ხელნაწერი და ვასილ კარბელაშვილისეული გამოცემა. დანართის სახით წარმოდგენილ ტექსტში წყაროები ქრონოლოგიური პრინციპით არის დალაგებული და ნუსხებს შორის გამოვლენილი სხვაობები სქოლიოებშია მითითებული.

თავი V

„გზრგზნი“ შემავალ თხრობათა წარმომავლობა

„გზრგზნი“ შემავალ თხრობათა წარმომავლობის დასადგენად ისინი შევადარეთ სხვადასხვა დროს გადმოთარგმნილ პატერიკებს: 1. იოანე მოსხი (550-634) პატერიკების კრებული (VII ს.), „ლიმონარი“; 2. „ანბანური პატერიკი. სწავლანი მამათა სკიტელთანი გამოკრებული“; 3. წმიდა პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონი“; 4. ეფთვიმე ათონელის თარგმნილი „სწავლანი წმიდათა მამათანი“ (XI ს.); 5. თეოფილე ხუცესმონაზონის XI-XII საუკუნეების წმიდა მამათა სწავლათა და თხრობათა კრებული; 6. რუფინუსის „მეუდაბნოე მამათა ცხოვრება“; 7. ასევე აპოთეგმური თხრობების კრებული: „The anonymous sayings of the Desert Fathers“.

„გზრგზნი“ შემავალი თხრობების ზემოთმოყვანილ წყაროებთან შედარებამ ცხადყო: „გზრგზნის“ 13, 15, 19, 28, 57, 59, 63, 64, 65, 76, 95, 97 თხრობები შინაარსობრივ თანხვედრაშია იოანე მოსხის „ლიმონართან“; „გზრგზნის“ 23, 24, 26, 44, 51, 75, 82, 84, 90, 96, 97 თხრობები თანხვედრაშია ტექსტთან „ანბანური პატერიკი. სწავლანი მამათა სკიტელთანი გამოკრებილნი“; 90 და 91-ე თხრობა თანხვედრაშია „ლავსაიკონის“ ტექსტთან; 72, 74, 75, 80, 85, 98 თანხვედრაშია ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ ტექსტთან „სწავლანი წმიდათა მამათანი“; „გზრგზნის“ 1, 4, 5, 6, 23, 24, 26, 37, 39, 40, 44, 48, 49, 51, 56, 59, 69, 70, 71, 72, 74, 75, 77, 80, 81, 82, 84, 85, 86, 90, 96, 98-ე თხრობები შინაარსობრივ თანხვედრაშია თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ თარგმნილ პატერიკებთან; „გზრგზნის“ 45-ე თხრობა შინაარსობრივ თანხვედრაშია რუფინუსის „მეუდაბნოე მამათა ცხოვრების ტექსტთან“; 40, 51, 53, 56, 70, 72, 81, 97, 98 თხრობები შინაარსობრივ თანხვედრაშია ინგლისურ-ბერძნულ გამოცემასთან.

„გზრგზნი“ შემავალ თხრობათა სხვა ადრეულ, არსებულ პატერიკებთან შედარებამ ცხადყო, რომ ისინი გადამუშავებულია, მათ ახლებური სახე აქვთ მიცემული.

დასკვნები

გარეჯის უდაბნოში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ბერი წმიდა გაბრიელ მცირე ამ დროის გარეჯის ლიტერატურული სკოლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია.

გაბრიელ მცირის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევამ და მის მიერ შექმნილ ტექსტთა მეცნიერულად შესწავლა-დამუშავებამ გამოავლინა დღემდე ყურადღების გარეშე დარჩენილი, გამოუკვლეველი და შეუსწავლელი საკითხები. მისი ცხოვრების შესახებ გამოიკვეთა ახალი დეტალები, რომლებიც ავსებენ წარმოდგენას მისი ბიოგრაფიის ირგვლივ:

გაბრიელ მცირე გარეჯში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში 1773 წლის ახლო ხანებში მისულა. იგი მონასტერში მისვლის შემდეგ აღიკვეცებოდა ბერად.

ივანე ლოლაშვილის აზრის გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც, წმიდა გაბრიელი მონასტერში 20-25 წლის მივიდა, გაბრიელ მცირის დაბადების სავარაუდო თარიღი 1748 წლიდან 1753 წლამდე დროის მონაკვეთში უნდა იყოს (1773 წელს გამოკლებული 20-25 წ.).

წმიდა გაბრიელის მღვდლად კურთხევა 1786 წლის 25 იანვრიდან 1892 წლის 10 ივლისამდე უნდა მომხდარიყო.

ორ სხვადასხვა ხელნაწერზე მინაწერის საშუალებით, რომლებიც ერთმანეთს ავსებს, დგინდება წმიდა გაბრიელის გარდაცვალების ზუსტი თარიღი: 1802 წლის 11 მარტი. იგი იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერშია დაკრძალული.

წმიდანად მისი შერაცხვის დროა არაუადრეს 1802 წლის 11 მარტისა და არაუგვიანეს 1815 წლის 3 აპრილისა.

გაბრიელ მცირემ ლიტერატურული საქმიანობა XVIII საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან სხვადასხვა წიგნთა გადაწერა-მოწესრიგებით დაიწყო. შემდგომ კი შექმნა ორიგინალური ნაშრომები და ეწეოდა შემდგენლობით-რედაქტორულ საქმიანობას.

მისი ორიგინალური ნაშრომებია: „მღუდელმთავრისა ლიტურდიისა განმარტებაჲ სახისმეტყველებითი“, „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ცქემოსან ონისიჲორესი“, „სულიერნი თხრობანი სულთა ღმრთისმოყვარეთანი“, „განმარტება მამაო ჩვენოსი“, „განმარტება მათარისა“, „მოთხრობა პორჲირისათვის“ და „ეპიტაჲია სტავროჲორესი საფლავსა ზედა პორჲირისსა“, რომლებიც მან 1801-1802 წლებში ერთ წიგნად გააერთიანა და „ჯუარ-შემოსილი“ უწოდა. ეს ტექსტები რომ უეჭველად გაბრიელ მცირეს ეკუთვნის, კვლევის საფუძველზე მტკიცდება. გაბრიელ მცირის ბოლო ორიგინალური ტექსტია „ქებითი სიტყვა“, რომელიც 1802

წლის დასაწყისიდან 1802 წლის 11 მარტამდეა დაწერილი. ამ ტექსტის დოკუმენტური წყარო მოხსენიებულია, მაგრამ ის სიძველეთსაცავებში არ იძებნება.

წმიდა გაბრიელის მიერ შედგენილი კრებულებია: „გზრგზნი“, „სამოთხის ყუავილი“, „ოქროს წყარო“, „კლიტე“, სუფევა“, „მანანა“ და „სამასეული“. ისინი რომ წმიდა გაბრიელის მიერ არის შედგენილი, მათივე ანალიზით და სხვადასხვა წყაროში არსებული ცნობებით დასტურდება. შემდგენლობითი და რედაქტორული თვალსაზრისით, ისინი ერთ სტილშია შესრულებული. თხრობათა და თავთა რაოდენობას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. თხრობები გადამუშავებული სახითაა წიგნში შეტანილი. ამ ხელნაწერთა ავტოგრაფების უმეტეს ნაწილს დართული აქვს გაბრიელ მცირის ხელრთვა, ისეთივე, როგორიც მის ორიგინალურ ტექსტებს.

ამ კრებულთა იდენტური რედაქტორულ-შემდგენლობითი მიდგომა, ტექსტის თავისუფალი და, ამავე დროს, თვისობრივად მსგავსი გადამუშავება ცხადყოფს გაბრიელ მცირის მიერ დამკვიდრებულ სალიტერატურო პრინციპებს, რითაც მას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული სასულიერო მწერლობის განახლება-განვითარებაში.

გაბრიელ მცირის ლიტერატურული მემკვიდრეობის სრული და ფრაგმენტული ტექსტების გამოცემები 1892-2019 წლებშია მომზადებული: წმიდა სტეფანე კარბელაშვილის, წმიდა გრიგოლ ფერაძის, ი. ლოლაშვილის, ზ. სხირტლაძის, კ. კენკიშვილის, ე. კოჭლამაზაშვილის, ე. გაბიძაშვილის, მ. ქავთარიას, ვ. სილოგავას, პ. წიკლაურის, დ. ჩანადრის და გ. კალანდაძის მიერ.

წმიდა გაბრიელის ორიგინალური და რედაქტორულ-შემდგენლობითი მოღვაწეობის კვალიფიციური შესწავლისათვის, ამ კვლევის ფარგლებში შევადგინეთ გაბრიელ მცირის ლიტერატურული დანატოვარის და მათი გამოცემების სრული ბიბლიოგრაფია. ასევე შევადგინეთ კრებულ „გზრგზნის“ ნუსხების სრული ჩამონათვალი და აღწერილობა. „გზრგზნის“ ნუსხათა ყველაზე დიდი რაოდენობა საქართველში ინახება, ასევე იგი დაცულია ინგლისსა და რუსეთში.

ამ ნაშრომის ფარგლებში გამოვიკვლიეთ გაბრიელ მცირის კრებული „გზრგზნი“, რომელიც გამოირჩევა ნუსხათა სიუხვით (44 ხელნაწერი), რაც მის პოპულარობაზე მიუთითებს. ეს ტექსტი, რომელიც დღემდე მეცნიერულად არ იყო შესწავლილი, დავადგინეთ რვა ხელნაწერისა (ზსიემ 23374/ხწ 16; A 228; A 723, A 427; S 2331; S 1389; A 341; A 537) და ერთი ბეჭდური წყაროს შედარების საფუძველზე; გამოსაცემად მოვამზადეთ და მას სამეცნიერო აპარატი დავურთეთ.

„გზრგზნის“ სტრუქტურა წინასწარაა გააზრებული. მასში შემავალი თავებისა და თხრობების რაოდენობას სიმბოლური მნიშვნელო-

ბა აქვს მინიჭებული, ტექსტები კი რედაქტირებულია.

„გზრგზნის“ ორი ავტოგრაფი არსებობს. კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის ძირითად ხელნაწერად ავირჩიეთ უადრესი ავტოგრაფი, რადგან მასში ხარვეზები ნაკლებია. ამასთანავე, ავტოგრაფულ ტექსტებს შორის კონცეპტუალური ცვლილებები არ არის.

კრებულ „გზრგზნის“ შექმნის სავარაუდო თარიღად მისი ადრეული ავტოგრაფის დასრულების თარიღი - 1794 წლის 29 ივლისი მივიჩნით.

„გზრგზნის“ ავტოგრაფებში ორთოგრაფია არ არის მტკიცედ დაცული. მართლწერაში წარმოდგენილი სხვაობების დაჯგუფებითა და ანალიზით იკვეთება, რომ გაბრიელ მცირე თანაბრად იყენებს ბგერა „უ“-სა და თანხმოვან „ვ“-ს; ცალკეული სიტყვების ახალ თუ არქაულ მართლწერას; როგორც სიტყვების, ისე გრამატიკულ ფორმათა სხვადასხვა დაწერილობებს. ვფიქრობთ, ამ მხრივ ჩატარებული სამუშაო არა მარტო გაბრიელ მცირის ენასა და სტილზე ქმნის წარმოდგენას, არამედ ასახავს იმ ეპოქის ლიტერატურულ ფონს.

წმიდა გაბრიელი მის მიერ შექმნილი წიგნების სათაურებს ასომთავრულით წერს. ერთი და იმავე სიტყვის მექანიკურად ორჯერ დაწერისას, ამოსაღებ სიტყვას წერტილებით ფარგლავს. უფლის სახელი ტექსტში მას ორგვარად აქვს წარმოდგენილი: ქარაგმით, ხუცურად და ქარაგმის გარეშე, მხედრულად. განსაკუთრებული მოწიწების გამოსახატავად ტექსტში ნებისმიერი სიტყვა, რომელიც ღმერთს აღნიშნავს, მთავრულით აქვს დაწყებული. გაბრიელ მცირის კალიგრაფია წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად არ არის შეცვლილი.

წმიდა გაბრიელის ავტოგრაფების საფუძველზე შევადგინეთ გრაფემების ტიპიურ მოხაზულობათა ცხრილი და ქარაგმების ნუსხა.

გაბრიელ მცირის ავტოგრაფებში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი გრაფემა პირველ ავტოგრაფში არის, გვიანდელში კი ამოღებულია. ზოგჯერ კი პირიქითაა.

ტექსტებში სასვენი ნიშნები მოწესრიგებულია და სისტემატიზირებული. წერტილი გამოყენებულია მძიმის ფუნქციით, ორი წერტილი - წერტილის. აბზაცის აღსანიშნავად სიტყვის პირველი ასო მთავრულით და ასომთავრულითაა, ზოგჯერ - სინგურით. წმიდა წერილიდან მოყვანილი ციტატები არ არის ბრჭყალებში მოქცეული, არამედ ბრჭყალები ციტატის გასწვრივ, არშიაზეა გატანილი.

წმიდა გაბრიელ მცირის ავტოგრაფთა შედარებითი კვლევის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, რომლებშიც უადრესი ავტოგრაფისთვის დამახასიათებელი ძველი ენის ფორმები ახლითაა შეცვლილი. ზოგჯერ სიტყვა ჩანაცვლებულია სინონიმით. ზოგიერთი სიტყვა ამოღებულია, ან დამატებულია. არის შემთხვევები, რო-

დესაც შეცვლილია კონსტრუქციები და სიტყვათა ფორმები, მაგრამ აზრი არ იცვლება. გვხვდება შემთხვევები, როდესაც არსებულ სიტყვათა სწორი მართლწერა გვიანდელში არასწორი ფორმითაა, ან სწორი გარმატიკული ფორმაა შეცვლილი. არის შემთხვევები, სადაც ადრეული ვარიანტული წაკითხვა გვიანდელში დაზუსტებულია და გასწორებული. ასეთი მაგალითები საპირისპიროსთან შედარებით თითქმის სამჯერ მეტია.

„გვრგვნის“ არაავტორიზირებული წყაროები ზედმიწევნით არ მისდევს ავტოგრაფულ წყაროებს, არის გადახვევებიც და აღრევიბიც. A 341, A 537 ნომრებით დაცული ხელნაწერები ძირითადად მიჰყვება N 16 ნომრით დაცულ ავტოგრაფს, ხოლო A 723, A 427, S 2331, S 1380 ნომრებით დაცული ხელნაწერები უმეტესწილად - A 228 ნომრით დაცულ ავტოგრაფს. ავტოგრაფებთან მიმართებაში არაავტოგრაფული ტექსტების ვარიანტულ სხვაობათა რიცხვი საკმაოდ დიდია. ავტოგრაფებთან ყველაზე დიდ სიახლოვეს S 2331 ხელნაწერი ამჟღავნებს, ხოლო ყველაზე მეტ სხვაობას - A 537 ხელნაწერი.

„გვრგვნში“ შემავალი თხრობების პირველწყაროთა ძიებამ ცხადყო: 13, 15, 19, 28, 57, 59, 63, 64, 65, 76, 95, 97 თხრობები შინაარსობრივ თანხვედრაშია იაონე მოსხის „ლიმონართან“; 23, 24, 26, 44, 51, 75, 82, 84, 90, 96, 97 თხრობები თანხვედრაშია ტექსტთან „ანბანური პატერიკი. სწავლანი მამათა სკიტელთანი გამოკრებილნი“; 90-ე და 91-ე თხრობა თანხვედრაშია „ლავსაიკონის“ ტექსტთან; 72, 74, 75, 80, 85, 98 თანხვედრაშია ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ ტექსტთან „სწავლანი წმიდათა მამათანი“; 1, 4, 5, 6, 23, 24, 26, 37, 39, 40, 44, 48, 49, 51, 56, 59, 69, 70, 71, 72, 74, 75, 77, 80, 81, 82, 84, 85, 86, 90, 96, 98-ე თხრობები შინაარსობრივ თხვედრაშია თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ თარგმნილ პატერიკებთან; „გვრგვნის“ 45-ე თხრობა შინაარსობრივ თანხვედრაშია რუფინუსის „მეუდაბნოე მამათა ცხოვრების ტექსტთან“; 40, 51, 53, 56, 70, 72, 81, 97, 98 თხრობები შინაარსობრივ თანხვედრაშია აპოთეგმური თხრობების ინგლისურ-ბერძნულ გამოცემასთან.

გაბრიელ მცირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევამ გამოავლინა მისი ცხოვრების ამსახველი ჯერ გამოუკვლეველი დეტალები, ცხადყო ამ წმიდა ბერის ორიგინალური ნაშრომებისა და რედაქტორულ-შემდგენლობითი მოღვაწეობის მნიშვნელობა ქართული მწერლობის განვითარებაში; ასევე მისი ღვაწლი, როგორც კრებულების შემდგენლისა, რომელთაც საფუძვლად უდევთ დიდაქტიკურ შედეგზე ორიენტირებული სრულიად ახლებური სარედაქციო კონცეფცია.

სადისერტაციო ნაშრომის ირგვლივ პუბლიკაციები და საჯარო წარდგინებები:

სამეცნიერო სტატიები

1. „Patrological Collection “Samotkhis Quavili” (The Flower of the Paradise), its Sources, Specificity and Origin“, <https://www.litinfo.ge/vol.10.-iss-1/kalandadze.pdf>

2. „St Gabriel Mtsire and his Work “Gvirgvini” (the Crown)“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 13, N1, 2019.

3. „Linguistic Studies for Establishing a Critical Text“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 13, N3, 2019.

4. „On the State of Studying the Georgian Written Culture before and in the Digital Era“, European Researcher. Series A, 2019, 10(2).

5. „წმიდა გაბრიელ მცირის კრებული „გვირგვინი“ და მისი ხელნაწერები“, „ნიკო ნიკოლაძე და საქართველო“, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების პერიოდული გამოცემა, 2019.

დოქტორანტის მიერ მომზადებული და გამოქვეყნებული წიგნები

1. „სამოთხის ყუავილი“, გამომც. „მთაწმინდა“, თბ., 2017.

2. „ღმრთივემეცნიერებით მღუდელმთავრის ლიტურდიის განმარტებად სახისმეტყველებითი, ვითარმედ ყოველსა მღუდელმეცნიერებით მოქმედებასა მისსა საიდუმლოებითი ძალი უპყრიეს“, გამომც. „მთაწმინდა“, თბ., 2017.

3. „სამასეული“, გამომც. „მთაწმინდა“, თბ., 2018.

4. „ჯუარშემოსილი“, „მთაწმინდა“, თბ., 2018.

5. „ოქროს წყაროდ“, გამომც. „მთაწმინდა“, თბ., 2019.

კონფერენციები

1. გაბრიელ მცირეს „სამოთხის ყუავილის“ თხრობათა წარმომავლობის საკითხი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალგაზრდა მეცნიერთა I საერთაშორისო სიმპოზიუმში ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, 20-23 ნოემბერი, თბილისი, 2017.

2. წმიდა გაბრიელ მცირე და კრებული „სამასეული“, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენცია, XX (76-ე), 2018.

3. წმიდა გაბრიელ მცირე და მის თხზულებათა შემდგენლობითი თავისებურებები, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენცია, XXI (77-ე), 2019.

4. წმიდა გაბრიელ მცირის კრებული „გვირგვინი“ და მისი ხელნაწერები, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების კონფერენცია, 2018 წლის 15 დეკემბერი.

Iakob Gogebashvili Telavi State University
With the right of manuscript

Georgi Kalandadze

Textological and Editorial Researches on Gabriel Mtsire's "Crown"

To obtain the academic degree of Doctor of Philology (1005)

Presented the thesis

Abstract

Specialty: Textual scholarship and Editorial Studies

Telavi
2019

The work was done at the Georgian Philology Department of the Faculty of Humanities at Iakob Gogebashvili Telavi State University

Scientific supervisors:

Doctor of Philological Sciences, Professor Ketevan Gigashvili

Doctor of Philological Sciences, Professor Maia Ninidze

Reviewers:

Doctor of Philological Sciences, Lia kiknadze

Doctor of Philological Sciences, Nana Chikvatia

Defense of the theses will be held at the _____
_____ at the

Dissertation Board of the Faculty of Humanities at Iakob Gogebashvili
Telavi

State University 2019, Corpus: I _____

Audience 30 _____

Address: Georgia, Telavi, 2200

Georgian University Street N1

Tel: +995 350 27 24 01

The dissertation can be acquainted with the library and website of Iakob
Gogebashvili Telavi State University <http://tesau.edu.ge>

Scientific Secretary of the Dissertation Board

Ph.D. in Philology Professor Nino Kochloshvili

GENERAL DESCRIPTION OF THE THESIS

Over the centuries, outstanding figures of Georgian culture created original ecclesiastical works and brilliant translations of Christian literature at enlightenment seats and monasteries both in Georgia herself and abroad. In this respect, of particular importance are the activities of the Church Fathers in the monasteries of Gareja Mravalmta monastic complex in the 17th-18th centuries.

In the bosom of Gareja Mravalmta monasteries zealous monks created the works reflecting the life and deeds of Georgian saints, collections on dogmatic issues, specimens of liturgical writing, original works and patristic collections, which represent the treasury of Georgian theological and ecclesiastical literature.

At the end of the 18th century, Gabriel Mtsire, who was the most prominent representative of the Gareja literary school of that time, labored in the Gareja Mravalmta monastic complex, namely, in the monastery of St. John the Baptist (Natlismtsemeli). Although here and there more or less valuable information about his works can be found but there has not yet been any fundamental scholarly research about the life and activities of this extremely important figure.

As far as it is possible, we have obtained the available materials concerning Gabriel Mtsire's life and activities, and based on its analysis, established our own vision and made appropriate conclusions. As the main object of the study, we have chosen textual and editorial research on Gabriel Mtsire's Gvirgvini.

The following issues were highlighted:

- *St. Gabriel Mtsire's life and activities;*
- *The existing manuscripts of the Gvirgvini, attribution of its compiler and the structure of the collection;*
- *The tendencies of autographic and non-autographic texts of the Gvirgvini;*
- *Comparative study of the autographs and selection of the primary source;*
- *The origin of the narratives included in the Gvirgvini.*

The topicality of the research theme and the main objective:

The main objective of our research is the collection Gvirgvini compiled by St Gabriel Mtsire, which includes 100 teachings. Multifaceted and detailed study of this literary monument gave us an objective, science-based insight into the issues under research.

We have studied the literary activity carried out by St. Gabriel from 1780

